

საქართველოს ორგანული კანონი

**საქართველოს ორგანულ კანონში - „ეროვნული ბანკის შესახებ“
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1.

საქართველოს ორგანულ კანონში „ეროვნული ბანკის შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №29, 12/10/2009) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-2 მუხლის „ტ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ტ) ადმინისტრაციული და კაპიტალური ხარჯები – ყველა ხარჯი, გარდა იმ ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მონეტარული პოლიტიკის განხორციელებასთან და ნაღდი ფულით ეკონომიკის უზრუნველყოფასთან.“

2. მე-3 მუხლის მესამე პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად წარმართოს ქვეყნის მონეტარული პოლიტიკა.

ბ) ხელი შეუწყოს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას.“

3. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ეროვნულ ბანკს უფლება აქვს, საბანკო მომსახურება გაუწიოს სხვა ქვეყნის მთავრობას, ცენტრალურ ბანკსა და მონეტარულ ორგანოებს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის წევრიც არის თვითონ ეროვნული ბანკი ან საქართველო.“

4. მე-7 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ეროვნული ბანკის პრეზიდენტს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.“

5. მე-7 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7¹ პუნქტი:

„7¹ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის წარდგინებით ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთაგან თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.“

6. მე-17 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის ფუნქციაა მონეტარული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.“

7. მე-17 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“, „ბ“, „გ“ და „ე“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შეიმუშაოს ქვეყნის მონეტარული პოლიტიკა.

ბ) განსაზღვროს ღია ბაზრის და სხვა მონეტარული ოპერაციების, საკუთარი ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის, მინიმალური სარეზერვო მოთხოვნების გაანგარიშებისა და დაცვის წესები

გ) დაადგინოს საპროცენტო განაკვეთები ეროვნული ბანკის სასესხო, სადეპოზიტო და სხვა მონეტარულ ოპერაციებზე, გარდა ბოლო ინსტანციის სესხისა

ე) შეასრულოს მონეტარულ პოლიტიკასთან დაკავშირებული სხვა ფუნქციები“

8. IV თავის სახელწოდება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
“ეროვნული ბანკის მონეტარული ფუნქციები და ოპერაციები“

9. 27-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია, მონეტარული პოლიტიკის განხორციელების მიზნით გამოუშვას საკუთარი ფასიანი ქაღალდები თავის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.“

10. 28-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“28. მონეტარული პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნული ბანკი უფლებამოსილია აწარმოოს ოპერაციები ღია ბაზარზე სახელმწიფო ფასიანი ქაღალდებითა და ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდების პირდაპირი შექენის ან გაყიდვის გზით ან მათი შემდგომში გასხვისების ან გამოსყიდვის პირობით (რეპო და უკუერეპო ოპერაციები).“

11. 31-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მონეტარული და სტატისტიკური ფუნქციების შესრულების ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით ეროვნული ბანკი უფლებამოსილია საფინანსო სექტორის წარმომადგენლებისაგან მოითხოვოს მონეტარული, საფინანსო და საგარეო სექტორების სტატისტიკების წარმოებისათვის საჭირო სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშგება, აგრეთვე სხვა აუცილებელი ინფორმაცია.“

12. 46-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ეროვნული ბანკი ფინანსურად არ ეხმარება საქართველოს მთავრობასა და სახელმწიფო დაწესებულებებს, გარდა ამ ორგანული კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დივიდენდის გაცემის შემთხვევისა. ეროვნული ბანკი, მონეტარული პოლიტიკის მიზნებიდან გამომდინარე, ახორციელებს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების შექენას მხოლოდ მეორეულ ბაზარზე.“

13. 61-ე მუხლის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„61. მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა და ანგარიშგება“

14. 61-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. არა უგვიანეს ყოველი წლის 1 ოქტომბრისა ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს მომავალი სამი წლის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტს.

3. საქართველოს პარლამენტი მიმდინარე წლის ბოლომდე ამტკიცებს მონეტარული პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს.

4. თუ საქართველოს პარლამენტმა არ დაამტკიცა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ წარდგენილი მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტი, ეროვნული ბანკი მოქმედებს თავის მიერ შემუშავებული პროექტის ფარგლებში.

5. მონეტარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების პროექტში უნდა აღინიშნოს ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტები, რომლებსაც ეროვნული ბანკი გამოიყენებს მიზნობრივი ინფლაციის მისაღწევად, და შესაძლო რისკების მიმოხილვა.

6. ყოველწლიურად, საფინანსო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 4 თვისა, ეროვნული ბანკი საქართველოს პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს მონეტარული და საზედამხედველო პოლიტიკის განხორციელების შესახებ. საქართველოს პარლამენტი ამტკიცებს წარდგენილ ანგარიშს.

მუხლი 2.
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანულ კანონში - “ეროვნული ბანკის შესახებ” ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 95-ე და 96-ე მუხლებთან „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს კონსტიტუციასთან „ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, შედის ცვლილებები და დამატებები კანონის მე-2, მე-3, მე-5, მე-7, მე-17, 27-ე, 28-ე, 33¹, 46-ე და 61-ე მუხლებში, აგრეთვე იცვლება მეოთხე თავის სახელწოდება. კონსტიტუციის 95-ე მუხლში ასახული ცვლილებების თანახმად, მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით „საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას“. აღნიშნული დეფინიციის თანახმად საქართველოს კონსტიტუციაში ქვეყნის ფინანსური პოლიტიკის აღსანიშნავად აღარ გამოიყენება ტერმინი „ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა“ და მის ნაცვლად დამკვიდრდა ტერმინი „მონეტარული პოლიტიკა“.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტებიდან დამატებითი ხარჯების გაწევას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი ბიუჯეტების ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტი არ აკისრებს სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ იქონიებს გავლენას იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ადგენს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში

საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ.ა) კანონპროექტის ავტორი

კანონპროექტის ავტორია ა(ა)იპ - „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“.

დ.ბ) კანონპროექტის ინიციატორი

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი.